



## 2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შერჩევის მეორე ეტაპი დაიწყო

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მეორე ეტაპში ჩართვის შესაძლებლობა აქვთ, მათ შორის, იმ აპლიკანტებს, რომლებიც 2022 წელს დარეგისტრირდნენ პორტალზე [vet.emis.ge](http://vet.emis.ge) და ვერ მოიპოვეს სტუდენტის სტატუსი. კერძოდ, შერჩევის ამ ეტაპზე მონაწილეობენ:

- აპლიკანტები, რომლებმაც გაიარეს შერჩევის პროცესი, თუმცა კონკურსის გამო ვერ ჩაირიცხნენ სასურველ პროგრამაზე;
- აპლიკანტები, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ პორტალზე, თუმცა ვერ შეძლეს შერჩევის პროცესში მონაწილეობა;
- აპლიკანტები, რომლებმაც მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება, თუმცა დადგენილ ვადაში არ მიმართეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს საბუთების წარსადგენად.
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით გამოცხადებული მიღების ფარგლებში, გარდა იმ პროგრამებისა, რომლებზეც შერჩევა ხორციელდება გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით, რეგისტრაციის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.

აპლიკანტებს შესაძლებლობა ექნებათ, პორტალზე [vet.emis.ge](http://vet.emis.ge) გაეცნონ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სადაც დარჩენილია თავისუფალი ადგილები და აირჩიოს მისთვის სასურველი. ამასთან, აპლიკანტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს **არაუმეტეს 3 პროგრამა**. შერჩევის აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელობა არ აქვს რომელი პროგრამა ჰქონდა აპლიკანტს მითითებული შერჩევის ძირითად ეტაპზე რეგისტრაციისას.

- აპლიკანტი უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ირჩევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შერჩევის ძირითად ეტაპზე გავლილი აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება და გადალახული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- **საბაზო და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის** არჩევის შემთხვევაში, აპლიკანტი ხელახლა გადის პროგრამისთვის განსაზღვრულ შერჩევის ეტაპს და მონაწილეობს კონკურსში.
  - აპლიკანტს შეუძლია აირჩიოს სრულიად განსხვავებული პროგრამა, რომელიც არ ჰქონდა მონიშნული შერჩევის ძირითად ეტაპზე;
  - აპლიკანტს შეუძლია აირჩიოს იგივე პროგრამა, რომელიც მონიშნული ჰქონდა შერჩევის ძირითად ეტაპზე.

### დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. 2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, **დარჩენილი თავისუფალი ადგილების** შევსების მიზნით, კოლეჯის მიერ შესავსები ადგილების შესახებ ინფორმაცია უკვე ასახულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში [vet.emis.ge](http://vet.emis.ge).
1. შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, კოლეჯი იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან **დარჩენილ თავისუფალ ადგილებს**.

2. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმ აპლიკანტებისათვის, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი [vet.emis.ge](http://vet.emis.ge).
3. აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა - **14-18.10.2022წ.**
4. გარდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომლებზეც შერჩევა ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით, „მეორე ეტაპის მიღების“ ფარგლებში იმ პირებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, რეგისტრაციის ვადაა **14-18.10.2022წ.**
5. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის („ბულალტრული აღრიცხვა“) არჩევის უფლება აქვს იმ აპლიკანტს, რომელსაც 2022 წელს ჩაბარებული აქვს შესაბამისი პროგრამისთვის დადგენილი ტესტი. აპლიკანტის რეიტინგული ქულა დგინდება ტესტირების შედეგის საფუძველზე.
6. „მეორე ეტაპის მიღებებზე“ აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი - **19-26.10.2022წ.**
7. „მეორად მიღებებზე“, თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, აპლიკანტთა შერჩევის, რეიტინგული სიების ფორმირების, შედეგების ასახვის დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით, ინფორმაციის აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება. არჩევის ვადა - **31.10-01.11.2022წ.**
8. არჩეულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აპლიკანტი კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს კოლეჯში წარადგენს დადგენილ ვადაში - **02-06.11.2022წ.**

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (არაინტეგრირებული)	დონე	თავისუფალი ადგილები	
			მისაღებ სტუდენტთა რ-ბა	მისაღებ სსსმ სტუდენტთა რ-ბა
1	ბულალტრული აღრიცხვა	5	1	6
2	ინფორმაციის ტექნოლოგია	3	21	2
3	საოფისე საქმე	4	11	3
4	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	4	11	2
5	საფინანსო სერვისები	3	24	5
6	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	4	2	3
7	სამკერვალო წარმოება	3	0	2
8	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	3	0	3
9	მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება	3	9	2
10	მსუბუქი ავტომობილის საგალი ნაწილის შეკეთება	3	11	3
11	გრაფიკული დიზაინის შესრულება	4	0	2
12	ინდუსტრიული დიზაინის შესრულება	4	1	1
13	ვებტექნოლოგიები	4	0	1
		<b>სულ</b>	<b>91</b>	<b>35</b>

**2022 წელს ჩარიცხულთათვის სწავლის დაწყების თარიღია 2022 წლის 8 ნოემბერი.**

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ან მოზრძანდით მისამართზე:  
ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44, გლდანის რაიონი, მე-5 და მე-6 მ/რაიონებს შორის  
ტელ: 2140314, 2140315